გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 84

2020 წლის 10 ივლისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის ქონების ფ/პ ნინო ყანჩველისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ხელშეკრულებით გადასაცემი ქონების (ს/კ 66.45.21.218) ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ

2020 წლის 12 ივნისს გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია ნინო ყანჩაველის № 9254 განცხადება, რომელშიც მოთხოვნილია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.21.218 (მდებარე გორში, სტალინის გამზირის № 22-ის მიმდებარედ) იჯარის ფორმით გადაცემა.

ნინო ყანჩაველს საკუთრებაში აქვს ქონება ს/კ 66.45.21.176.01.025, რომელიც მდებარეობს გორში, სტალინის გამზირის № 22-ში. მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.21.218 წარმოადგენს ნინო ყანჩაველის საკუთრების მიმდებარე ტერიტორიას. 2016 წლის 12 ივლისს ნინო ყანჩაველს მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.21.218 პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემული ჰქონდა იჯარის ფორმით, ოთხი წლის ვადით. აღნიშნულ ხელშეკრულებას ვადა გასდის 2020 წლის 12 ივლისს.

აუდიტორული კომპანიის შპს „აუდიტეკონომიქსის" მიერ 2020 წლის 20 მაისს წარმოდგენილი №გრ–31 „უძრავი ქონების შეფასების ანგარიშით" მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.21.218 ფართობით 33,00 კვ.მ. საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 6 270 (ექვსი ათას ორასსამოცდაათი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 მაისის №48 დადგენილებით, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.21.218 შეტანილია გორში, გარე ვაჭრობის ნებადართული ადგილების ჩამონათვალში. ამავე დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.21.218 ფართობით 33,00 კვ.მ. ნინო ყანჩაველისთვის პ/ნ 59001009637 პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად საჭიროა განისაზღვროს ჯერ საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ წლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ"ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 მაისის №48 დადგენილების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გადაეცეს ფ/პ ნინო ყანჩაველს პ/ნ 59001009637 პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.21.218 ფართობით 33,00 კვ.მ. მდებარე გორში, სტალინის გამზირის № 22-ის მიმდებარედ, გარე ვაჭრობის განსახორციელებლად, 4 (ოთხი) წლის ვადით.
2. საწყისი საპრივატიზებო ფასი გორში, სტალინის გამზირის № 22-ის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისთვის ს/კ 66.45.21.218 განისაზღვროს 6 270 (ექვსი ათას ორასსამოცდაათი) ლარით.
3. ქირის საწყისი წლიური საფასური განისაზღვროს 1 800 (ერთიათას რვაასი) ლარით.
4. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
5. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე